შესავალი კონტექსტის გაგებისთვის

1992 წლის 7 მარტს საქართველოში ედუარდ შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა. შევარდნაძის ჩამოსვლას წინ უძღოდა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, რამაც არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოსული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება შეიწირა. ახალდჩამოსულმა შევარდნაძემ სახელმწიფო გადატრიალების მოთავეებისაგან ფაქტობრივი მმართველობა გადაიბარა და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ძალაუფლების კონსოლიდაცია.

შევარდნაძის ქვეყანაში ჩამოსვლას მალევე მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარება. დროთა განმავლობაში, სამოქალაქო დაპირისპირებასა და ომში ჩაფლულ ქვეყანაში ვითარება დასტაბილურდა. ეტაპობრივად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუტები, საბოლოოდ კი 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ქართული კონსტიტუცია.

შედარებით სტაბილური მდგომარეობის მიუხედავად, სახელმწიფო განიცდიდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, რასაც ემატებოდა ენერგოკრიზისი და მწვავე კორუფცია.

ამ ფონზე კი შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება იზრდებოდა. გაჩნდა ახალგაზრდული საპროტესტო მოძრაობები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები. მათი პროტესტის მთავარი სამიზნე უნივერსიტეტები და იქ გავრცელებული კორუფცია იყო.

2001 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს ახალგაზრდული პოლიტიკური მოძრაობა კმარა.

ფოტო *1.* კმარას ანტისახელისუფლებო წ. პლაკატი;

ფოტო *2.* კმარას აქტივისტები, *2003*

ასეთი მოძრაობების გაჩენამ წაახალისა სტუდენტური პროტესტის საუნივერსიტეტო სივრცეებიდან გასვლა და მას ფართო ანტისახელისუფლებო ხასიათი მისცა.

გარდამტეხი მოვლენა, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია და საბოლოოდ ხავერდოვანი რევოლუციის ფორმა მიიღო, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გამოდგა. ხელისუფლების მიერ არჩევნების მასობრივი გაყალბებას, დედაქალაქსა და რეგიონებში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. საბოლოოდ, 2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა და ახალი არჩევნები დაინიშნა.

სტუდენტური მოძრაობები და ვარდების რევოლუცია — **გიორგი მელაძის ამბავი**

გიორგი მელაძე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ასოცირებული პროფესორი. 1990-იანი წლების ბოლოდან (19–20 წლის ასაკიდან) აქტიურად იყო ჩართული სტუდენტურ საპროტესტო მოძრაობებში, მათ შორის იყო ორგანიზაცია კმარას წევრი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვარდების რევოლუციის დროს ახალგაზრდების მობილიზებაში.

მელაძე გვიყვება სამოქალაქო აქტივისტის პერსპექტივიდან აღქმული ვარდების რევოლუციისა და იმ შედეგების შესახებ, რაც რეჟიმის მშვიდობიანმა ცვლილებამ მოიტანა 2003 წლის 23 ნოემბერს.

მთხრობელი განიხილავს იმ პროცესებს, რაც წინ უძღოდა ვარდების რევოლუციას, იმ განწყობებს, რომელიც არსებობდა საზოგადოებაში და ცვლილებებისადმი მზაობას, რამაც შესაძლებელი გახადა უწყვეტი წინააღმდეგობა და გარდაუვალი ცვლილება. გიორგი ხაზს უსვამს, რომ ცვლილებებისადმი მზაობის მიუხედავად, ვარდების რევოლუციას სპონტანური ხასიათი ჰქონდა.

ვარდების რევოლუციისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების საფუძვლიანად აღქმისთვის მნიშვნელოვანია, სხვადასხვა პერსპექტივიდან დავინახოთ იმ პერიოდში განვითარებული მოვლენები. ამ მხრივ გიორგი მელაძის მიერ გადმოცემული ამბავი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის გვაჩვენებს ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტის როლს და იმ რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ მასობრივი პროტესტის მონაწილეები.

მთხრობელი ხაზს უსვამს, რომ რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ მოიტანა ცვლილებები და რეფორმები. მელაძე აღნიშნავს, რომ ცვლილებების შემდეგ გაჩნდა სივრცე, რომელიც მას განვითარების საშუალებას აძლევდა. თუმცა ის იაზრებს, რომ ეს შეიძლება პირადად მისთვის, როგორც აქტივისტითვის ყოფილიყო პრივილეგია.

ინტერვიუს მეორე ნაწილში რესპონდენტი საუბრობს ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული წარმატებული და წარუმატებელი რეფორმების, მათ შორის პოლიციის რეფორმის შესახებ.

ყველა ზეპირი ისტორიის მსგავსად, ეს ისტორიაც მთხრობლის მიერ სუბიექტურად აღქმულ და დამახსოვრებულ მოვლენებს ასახავს. ამდენად, ინტერვიუს მანძილზე მიღებული ინფორმაცია არ არის განზოგადებადი.

თაიმლაინი და ტერმინები

— **1992 წლის 7 მარტი:** ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება საქართველოში;

— **1995 წლის 24 აგვისტო:** მიღებულ იქნა პირველი კონსტიტუცია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ;

— **2001 წელი:** სტუდენტური მოძრაობა კმარას ჩამოყალიბება;

— **2003 წლის 17 სექტმებერი:** სპეცრაზმმა რამდენჯერმე დაარბია კმარას აქტივისტებს;

— **2003 წლის 2 ნოემბერი:** ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგებიც არ ცნეს ოპოზიციურმა პარტიებმა;

— **2003 წლის 14 ნოემბერი:** პროტესტის მონაწილეებმა პარლამენტსა და კანცელარიას ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს. მოთხოვნა: პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა;

— **2003 წლის 22 ნოემბერი:** ჩაინიშნა და მასობრივმა პროტესტმა ჩაშალა ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა;

— **2003 წლის 22 ნოემბერი:** ჩაინიშნა და მასობრივმა პროტესტმა ჩაშალა ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა;

— **2003 წლის 23 ნოემბერი:** პრეზიდენტმა შევარდნაძემ გააკეთა განცხადება გადადგომის თაობაზე;

— **2003 წლის 28 მარტი:** გაიმართა ხელახალი საპარლამენტო არჩევნები.

დავალება
დისკუსია და როლური თამაში (25 წუთი) (IX–XI კლასები)

მიზანი: დაეხმაროს მოსწავლეებს ვარდების რევოლუციის დროს მიმდინარე პროცესების სხვადასხვა პერსპექტივიდან აღქმაში, წაახალისოს კრიტიკული აზროვნება და განუვითაროს მათ ჯგუფური მუშაობის უნარები როლური თამაშის საშუალებით.

საჭირო მასალები

— ინტერვიუ (ზეპირი ისტორია) გიორგი მელაძესთან;
  1. 1:16–4:44 (მიზნები და მოლოდინები)
  2. 4:45–8:02 (სამოქალაქო აქტივისტის მოტივაცია)
  3. 8:32–11:51 (მოქალაქეთა მოლოდინები რევოლუციამდე და რეალობა რევოლუციის შემდეგ).

— ფლიპჩარტი ძირითადი პუნქტების ჩამოსაწერად;

— ფურცლები და საწერი საშუალებები;

— როლური თამაშის ინსტრუქცია.

მომზადება

1. საკითხის გახსნა (5 წუთი)

— მოკლე შესავალი და აღწერა თუ რა მოვლენა იყო ვარდების რევოლუცია და რა მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს უახლეს ისტორიაში;

— ინტერვიუს კონტექსტუალიზაცია: სამოქალაქო აქტივისტის მოტივებისა და გამოცდილების ანალიზში დახმარება; ჩვენება იმისა, რომ ეს არის პირადი, სუბიექტური ისტორია.

2. ჯგუფებად დაყოფა და როლების განაწილება (5 წუთი)

— დაყავით მოსწავლეები 4–5 წევრიან ჯგუფებად;

— მიანიჭეთ თითოეულ ჯგუფს განსხვავებული როლი ვარდების რევოლუციასთან მიმართებით:

ჯგუფი 1: სამოქალაქო აქტივისტები (პროტესტის მონაწილეები);

ჯგუფი 2: ხელისუფლების წარმომადგენლები;

ჯგუფი 3: ჩვეულებრივი მოქალაქეები;

ჯგუფი 4: საერთაშორისო დამკვირვებლები (უცხოელი ჟურნალისტები, დიპლომატები).

3. დისკუსიისთვის მზადება (10 წუთი)

— საორიენტაციო კითხვები თითოეული ჯგუფისათვის:

— სამოქალაქო აქტივისტებისთვის: რა იყო თქვენი მოტივაცია ვარდების რევოლუციაში მონაწილეობის დროს? რა სამომავლო მოლოდინები გქონდათ?

— ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის: როგორ ხედავდით/აფასებდით პროტესტს? როგორ გეგმავდით წესრიგის შენარჩუნებას?

— ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის: რა გავლენას ახდენდა მასობრივი პროტესტი თქვენს ყოველდღიურობაზე? გქონდათ ცვლილებების იმედი?

— საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის: რა პოზიცია გქონდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ? რა საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საქართველოში მომხდარ მშვიდობიან რევოლუციას?

— სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ჩაინიშნონ მთავარი არგუმენტები და საინტერესო მოსაზრებები, რომელთა გამოყენებაც შეეძლებათ როლური თამაშის დროს.

4. როლური თამაშის მომზადება

— თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს მოკლე როლური თამაშის გეგმა საკუთარი პერსპექტივიდან გამომდინარე (2–3 წუთი), რომელიც წარმოაჩენს მათ პოზიციას/ქმედებას ვარდების რევოლუციის დროს მიმდინარე მოვლენებში. მათ შეიძლება აირჩიონ:

— საჯარო შეკრების/პროტესტის ფორმა;

— შეხვედრის ფორმა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც განიხილავენ როგორ უპასუხონ მასობრივ პროტესტს;

— ყოველდღიური (საყოფაცხოვრებო) საუბრის ფორმა უბრალო მოქალაქეებს შორის, რომლებიც გამოხატავენ იმედებს, შიშსა და ღელვას.

5. პრეზენტაცია/როლური თამაშის შესრულება

— თითოეულ ჯგუფს აქვს 2–3 წუთი როლური თამაშის გზით საკუთარი პოზიციის კლასის წინაშე წარდგენისათვის.

5. შემაჯამებელი დისკუსია (2–3 წუთი)

— მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარადგენს საკუთარი როლის პრეზენტაციას, მოკლე საკლასო დისკუსიით შეაჯამეთ დავალება; შეიძლება დაიხმაროთ მსგავსი საორიენტაციო კითხვები:

— ყველა მხარე ერთნაირად უყურებს დიდ საპროტესტო მოძრაობებს? რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები დაინახეთ განსხვავებული ჯგუფების პოზიციებში?

— როგორ დაგეხმარათ როლური თამაში ვარდების რევოლუციის დროს მიმდინარე რთული ამბების გაგებაში?

— გაიგეთ რაიმე ახალი და საინტერესო დღევანდელი დავალებიდან?

ალტერნატიული დავალება: როლური თამაში „ვარდების რევოლუციის“ გაგებისათვის (დავალების შესრულების დრო 40 წუთი)

მიზანი: „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებული მოვლენების შესწავლა სხვადასხვა პერსპექტივიდან, კრიტიკული აზროვნებისა და ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარება როლური თამაშის საშუალებით.

საჭირო მასალები

— ინტერვიუ (ზეპირი ისტორია) გიორგი მელაძესთან;

— ფლიპჩარტი ძირითადი პუნქტების ჩამოსაწერად;

— ფურცლები და საწერი საშუალებები;

— როლური თამაშის ინსტრუქცია.

მომზადება

1. შესავალი და კონტექსტი

— მოკლე შესავალში მასწავლებელი გამოკვეთს “ვარდების რევოლუციის” როლს და მის გავლენას ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე;

— წარადგენს გიორგი მელაძის ინტერვიუს და გამოკვეთს თუ როგორი ფასეულია პირად ისტორიები წარსულში მომხდარი მოვლენების გააზრებისათვის.

2. ინტერვიუდან შერჩეული მონაკვეთების ნახვა (10–15 წუთი)

— მოსწავლეებს მოასმენინეთ შერჩეული მონაკვეთები გიორგი მელაძის ინტერვიუდან, რომელშიც კარგად ჩანს მთხრობელის გამოცდილება, მოტივაცია და მიზნები;

ტაიმკოდები:
1. 1:16–4:44 (მიზნები და მოლოდინები)
2. 4:45–8:02 (სამოქალაქო აქტივისტის მოტივაცია)
3. 8:32–11:51 (მოქალაქეთა მოლოდინები რევოლუციამდე და რეალობა რევოლუციის შემდეგ).

— სთხოვეთ მოსწავლეებს ჩაინიშნონ საკვანძო სიტყვები, ემოციები და მოვლენები, რომლებიც მათი აზრით მნიშვნელოვანია;

3. ჯგუფების შექმნა და როლური დავალება (5-7 წუთი)

— დაყავით მოსწავლეები სამ ჯგუფად:

ჯგუფი 1: სამოქალაქო აქტივისტები (პროტესტის მონაწილეები);

ჯგუფი 2: ხელისუფლების წარმომადგენლები;

ჯგუფი 3: ჩვეულებრივი (ნეიტრალური) მოქალაქეები;

— დაეხმარეთ თითოეულ ჯგუფს, მკაფიოდ განსაზღვრონ საკუთარი როლი და პოზიცია გიორგის მიერ გადმოცემულ ამბავზე დაყრდნობით.

4. ჯგუფური დისკუსია და როლური თამაშის მომზადება (10 წუთი)

— მიეცით თითოეულ ჯგუფს შესაბამისი სადისკუსიო მიმართულება:

— სამოქალაქო აქტივისტებს: გამოკვეთეთ რა აძლევდათ მოტივაციას გიორგის და სხვებს, როცა აქტიურად მონაწილეობდნენ პროტესტში. რისი შეცვლის იმედი ჰქონდათ მათ?

— მთავრობის წარმომადგენლებს: იფიქრეთ როგორ რეაგირებდა მთავრობა პროტესტზე. რა აწუხებდათ ოფიციალურ პირებს?

— ჩვეულებრივი მოქალაქეები: იმსჯელეთ როგორ მოქმედებდა პროტესტი მოქალაქეთა ყოველდღიურობაზე. რა იმედები და წუხილი ჰქონდათ მათ პროტესტის შედეგებთან დაკავშირებით?

— დაავალეთ მოსწავლეებს შექმნან 2–3 წუთიანი როლური თამაშის გეგმა (დიალოგი, სიტყვით გამოსვლა, განცხადება), სადაც გამოჩნდება მათი ჯგუფის პოზიცია პროტესტთან დაკავშირებით.

5. როლური თამაშის პრეზენტაცია (9–12 წუთი, 3–4 წუთი თითოეული ჯგუფისთვის)

— თითოეული ჯგუფი ხელმძღვანელობს საკუთარი სცენარითა და გეგმით. საკუთარ პოზიციებს ასაბუთებენ ინტერვიუში გადმოცემული თხრობის საფუძველზე;

— წაახალისეთ კრეატიულობა და ამბის ემოციური მხარე, საკითხის უკეთ აღქმისა და გააზრებისთვის.

6. რეფლექსია და შემაჯამებელი დისკუსია (6–10 წუთი)

— წარმართეთ შემაჯამებელი დისკუსია კლასში შემდეგი წამახალისებელი კითხვების დახმარებით:

— როგორ დაგეხმარათ როლური თამაში ვარდების რევოლუციის დროს მიმდინარე რთული ამბების გაგებაში?

— გაიგეთ რაიმე ახალი და საინტერესო დღევანდელი დავალებიდან?